„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20(27), 1999 წელი, მუხ. 101) მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „$დ^1$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ანტიკორუფციულ ბიუროზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი — სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

29 მაისი 2024 წ.

N4214-XIVმს-Xმპ